საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს,

მამუკა ბახტაძეს

ტყიბულის მეშახტეთა საინიციატივო ჯგუფმა შიდა კონსულტაციების საფუძველზე ჩამოაყალიბა რიგი მოთხოვნები, ესენია:

1. ანაზღაურდეს საწარმოო პროცესის აღდგენამდე განაცდური დღეების ხელფასები 100%-ით.
2. მოხდეს მინდელის სახელობის შახტის შენარჩუნება და აღდგეს სამუშაო პროცესი.
3. აღდგეს და სამუშაო პროცესი განახლდეს თბოელექტროსადგურში.
4. სრულიად შეიცვალოს ქ. ტყიბულის მინდელის სახელობის შახტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (1. გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე- გია ქარქაშაძე, 2. მინდელი სახელობის შახტის დირექტორი აკაკი ახვლედიანი, 3. მინდელის სახელობის შახტის მთავარი ინჟინერი- გიზო კირკიტაძე. 4. შახტის უსაფრთხოების სამსახურის უფრსი - გელა გაბელაშვილი)
5. გაუქმდეს ქ. ტყიბულის მინდელის სახელობის შახტში მიწისქვეშ დასაქმებულ პირთა საშემოსავლო გადასახადი.
6. დაიკლოს და განისაზღვროს მეშახტეთა სახელმწიფო საპენსიო ასაკი. მდედრობითი სქესი - 50, მამრობითი სქესი - 55 წელი.
7. მეშახტეთა სახელმწიფო პენსია გაიცეს დამსახურებისა და დაგროვებული სამუშაო სტაჟის მიხედვით.
8. მოხდეს 2006 წლის შემდეგ, შახტაში დაზარალებულ პირებისთვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
9. შეიცვალოს ან გაუმჯობესდეს საწარმოში დასაქმებულ პირთა სადაზღვეო პაკეტი (შესაძლებელია, ჯი პი აი ჰოლდინგის დაზღვევის დაბრუნება, განახლებული პირობებით).
10. გაირკვეს კარიერული წესით მოპოვების საკითხი, მოწესრიგდეს იურიდიული ჩარჩო. კარიერული წესით მოპოვებითი სამუშაოების განახლება.
11. სახელმწიფომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საქართველოს გაერთიანებულ პროფკავშირებთან კონსულტაციის საფუძველზე შექმნას ქმედითი, ფუნქციური და მობილური შრომის ინსპექცია, რომელიც არ იქნება მიკერძოებული.

არსებული ადმინისტრაციის კადრები შესაძლებელია ჩანაცვლდეს ჩვენ მიერ შერჩეული შემდეგი კანდიდატებით:

1. ელდარი ჩაფიძე

2. დავით ლოლაძე

3. ედემი სტურუა

4. ნუგზარ რიჟამაძე

პატივისცემით, ტყიბულის მეშახტეთა საინიციატოვო ჯგუფი.